წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 11925338001**

თარიღი:**04/12/2025**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა:***

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტების ინიცირების მიზნით, მოწონებულ იქნას წალკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2025 წლის 2 დეკემბრის № ბ119.11925336001 წერილით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები:

ა) სოფ. ნარდევანი-კუშის დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

ბ) დაბა ბედიანამდე მიმავალ გზაზე ასფალტო ბეტონის მოწყობის სამუშაოები;

გ) ქ.წალკაში კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოები;

დ) დაბა თრიალეთი-სოფ.კავთის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ე) სოფ.დარაკოვი-წინწყაროს დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ვ) სოფ.კაბურის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა;

ზ) სოფ.ხაჩკოვის წყალმომარაგების რეზერვუარის, მაგისტრალისა და შიდა ქსელის მოწყობა;

თ) სოფ.აშკალაში ჭაბურღილისა და მაგისტრალის მოწყობა;

ი) სოფ.გოდაკლარში ჭაბურღილისა და მაგისტრალის მოწყობა;

კ) სოფ.ბარეთში წყალმომარაგების რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა;

ლ) ქ.წალკაში ქუჩების მოასფალტების სამუშაოები.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი